ინდუსტრიულ-ტექნიკური კოლეჯის ადაპტაციის კონცეპტუალური პროექტი

გიგა ფევაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე არქიტექტურის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესაბამისად

თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ზაუტაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

1.2 განაცხადი:

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიგა ფევაძე,

22/06/2019 წ.

1.3. აბსტრაქტი:

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს მარშალ გელოვანის გამზირზე, #5-ში მდებარე ყოფილი ინდუსტრიულ-ტექნიკური კოლეჯის ადაპტაციის პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს შენობის ისტორიული კონტექსტისა და არსებულ სიტუაციზე დაყრდნობით შემოგვთვაზოს მისი განვითარების ხედვა, რომელშიც დაგეგმილი იქნება ტერიტორიის ურბანულ, სოციალურ, ფუნქციურ, არქიტექტურულ ქსოვილზე დაყრდნობით და შენობის დაგეგმარებისად კომპლექსური მიდგომის საჭიროებას აჩვენებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საბჭოთა არქიტექტურა, ინდუსტრიული შენობები, ადაპტაცია, სოციალური გაჯანსაღება.

1.4. მადლობა:

მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორ, ბატონ გიორგი ზაუტაშვილს, რომელიც ნაშრომზე მუშაობისას ყოველთვის სწორ გზაზე მაყენებდა და ცდილობდა პროექტის განვითარებაზე თავისი, სუბიექტური გავლენა არ მოეხდინა. ასევე დიდი მადლობა მინდა მოვუხადო ბატონ ზურაბ მათიაშვილს, რომელიც ხელმძღვანელობდა პროექტის პირველ, კვლევით ეტაპს.

განსაკუთრებულ მადლობას მოვახსენებ არქიტექტორ თომას იბრაჰიმს (Thomas Ibrahim), რომელმაც საპროექტო ტერიტორიაზე საზოგადოებვრივი სივრცე, „კულტურული ტერასა“ შექმნა, ვისი უშუალო ჩართულობის შემდეგაც დავვინტერესდი აღნიშნული შენობით და რომლის საშუალებითაც წვდომა მქონდა არსებული შენობის საარქივო დოკუმენტაციასთან.

ასევე მადლობა ჩემს მეგობრებსა და კოლეგებს, რომლებიც მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე ჩემი თხოვნით კითხულობდნენ, ჩემს მონაყოლს ისმენდნენ ნაშრომთან დაკავშირებით და არ იზარებდნენ საკუთარი აზრი დაეფიქსირებინათ